რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სასისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დაბეჭდილ[illegible]ებით ახოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში რედაქციის კანტორაში (ბაღის (სადოვი) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლებში, № 33).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერელთათვის ადრესსი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა— — — 5 „
სამის თვისა— — — 3 „
ერთის თვისა— — — 1 „

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში შემოტანილი.

პირველი ივნისიდამ წლის დამლევამდის გაზეთი ღირს ხუთ მანეთად და ათ შაურად.

საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ იმ ხელის-მომწერლებისათვის, რომელნიც ზაფხულობით ქალაქიდამ სოფლებში მიდიან და საზოგადოთ ადრესს იცვლიან, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი ახალის ადრესსით მიიღონ, ერთი მანეთი უნდა შემოიტანონ რედაქციაში.

ვისაც ნახევარი წლის ფული გაზეთისა 4 მანეთის მეტი არ შემოუტანიათ, იმათ, თუ ერთ მანეთსაც არ გამოგზავნიან, გაზეთი ამ 1 ივნისიდამ მოესპობა.

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად თფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორს უფ. სტრელეცკისაგან მოწვეული არიან ჩვენს ქალაქში სოფლის მასწვლებელნი იმ განზრახვით, რომ გალოსნობა შეისწავლონ ნასწავლ მებაღეების ხელმძღვანელობით. მასწავლებელნი ერთი კვირით არიან დაბარებულნი; ისინი დაიარებიან თფ. აკლიმატიზაციის ბაღში და მებაღის უფ. შერერის ხელმძღვანელობით სწავლობენ ხეხილეულის დარგვას, დამყნას და მოვლას, აგრეთვე ბოსტნეულის მოყვანას.

ამ ყოველი სასოფლო შკოლის მასწავლებლისთვის სასარგებლო ცოდნის მისაღებად მხოლოდ თხუთმეტიოდე მასწავლებელი ჩამოსულა ამ ჟამად მარტო აქ. ამის მიზეზად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ უფ. დირექტორის ქაღალდში მოხსენებული ყოფილა, რომ „ვისაც ჰსურს, შეუძლიან ჩამოსვლაო.“ ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ უფ. დირექტორს მასწავლებლების ნებაყოფლობაზე და სურვილზე არ შეეგდო საქმე, პირ-და-პირ უნდა მოეთხოვა, რომ ყველა სოფლის მასწავლებელნი უეჭველად ჩამოსულიყვნენ.

*** ამ წლის „დროების“ მე-63 ნომერში დაბეჭდილი იყო ჩურუქ-სუდამ (ქობულეთიდამ) მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი ამბობდა, რომ ის 4000 მანეთი, რომელიც ადგილობრივმა უჩასტკის უფროსმა უფ. სამსონ ლორთქიფანიძემ მიიღო მთავრობისაგან და 120 მანეთი რუსეთიდამ გაჭირებულ ქობულეთლების დასარიგებლად, რიგიანად არ იყო დარიგებულიო, სულზე ათი შაური დაარიგაო და დარიგების დროს ყველას ბრძანებას აძლევდაო, რომ ამ ფულით სიმინდი იყიდონო.

„დროებისვე“ № 80-ში დაბეჭდილი იყო უფ. სამსონ ლორთქიფანიძის პასუხი, რომელიც კარგათ მართლულობდა თავს ამ გამტყუნებაში. მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ ამ საგნისვე შესახებ მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობა, რომელიც ჩვენ თვითონ შევკრიბეთ ჩურუქსუში ყოფნის დროს ამ ქავლილ აპრილში და რომელიც დღემდინ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დავბეჭდეთ.

სულ დასარიგებლად, მართალია, 4120 მანეთი იყო. მაზრის გამგეობის გარდაწყვეტილობით ეს ფული სულზე თითო მანეთი უნდა დაერიგებინათ და ამის-და-გვარად დაურიგდა: სოფ. ქაქუთის 42 ოჯახს—251 მან., სოფ. ლეღვას 102 ოჯახს—520 მან., ხუც-უბნის 85 ოჯახს—345 მან., ზვარის 12 ოჯახს —59 მან., ალამბარის 101 ოჯახს—553 მან., აჭყვის-თავის 112 ოჯახს—621 მან., სამების 56 ოჯახს—506 მან., კვირიკეს 87 ოჯახს—459 მან., სოფ. ქობულეთის 156 ოჯახს—826 მან. და დაბა ჩურუქ-სუს 6 ოჯახს—81 მან.,—სულ 3,933 მანეთი. იმ დროს (აპრილში), როდესაც ჩვენ ვიყავით ჩურუქ-სუში ამ ფულების დარიგება ჯერ კიდევ არ იყო გათავებული; თითო-ოროლა გაჭირებულები მოდიოდნენ და უჩასტკის უფროსის კანცელარიიდამ იღებდნენ სიით დანიშნულ ფულს.

ამნაირად ჩვენ ზნეობით მოვალეობად ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ზემოხსენებულ კორრესპონდენციას თითქმის არავითარი საფუძველი არა ჰქონია უფ. ს. ლორთქიფანიძის გამტყუვნებაში. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ, როგორც ადგილობრივ შევიტყეთ, უფ. ლორთქიფანიძე ნამდვილად პატიოსანი კაცი აღმოჩნდა და ბევრად უფრო გონიერად ასრულებს თავის თანამდებობას, ვინემ სხვები ამგვარივე თანამდებობის პატრონნი..

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ კომისიას, რომლის თავსმჯდომარედ პატივცემული დ. ზ. ბაქრაძე არის დანიშნული და რომელსაც მინდობილი აქვს ბათუმის მაზრის ადგილ-მამულის საქმის გამოკვლევა, თვითონ ქალაქს ბათუმში გაუთავებია საქმე და ახლა სხვა ქალაქებში უნდა წავიდესო: ჩურუქ-სუში, ართვინში, არდანუჯში და სხვ.

ბათუმში, კამისიას მამულების გასყიდვის შესახებ, ბევრი უწესოება აღმოუჩენია, ერთი და იგივე მამული პატრონს ორი-სამი და ხშირად ხუთი კაცისთვის მიუყიდნია, მომეტებული ნაწილი მამულებისა სწორეთ იმ დღეს აღმოჩენილა ნაყიდი, რა დღესაც რუსების მოსვლას მოელოდნენ ბათუმში, ზოგს ამ დღის შემდეგ უყიდნია, მაგრამ „თაფუში“ (ნაყიდობის ქაღალდში) კი ადრინდელი რიცხვი ჩაუწერინებიათ და სხვ. და სხვ.

მაგრამ, როგორც გვწერენ, კამისიას მომეტებული ნაწილი ამგვარი საქმეებისა კარგათ, სამართლიანად გაუთავებია, გაუუქმებია უკანონო ნასყიდობა.

*** დღევანდელს ნომერში იბეჭდება ზურიიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვკითხავს: აქვს ვისმეს კანონით უფლება, რომ ძმას დაუშალოს თავის ძმასა და დას ასწავლოსო, თუ არაო. ჩვენ გვაკვირვებს ამისთანა უბრალო კითხვა: რა თქმა უნდა, რომ ამისთანა კანონი არც არის და არც შეიძლება იყოს. გვაკვირვებს კიდევ

ის გარემოება, რომ ჩვენს სოფლის მასწავლებლებში აღმოჩენილა იმისთანა პირი, რომელიც ცდილობს დაუშალოს ძმას თავის ძმებისა და დების სწავლება. მაგრამ ამისთანა ხეპრე მასწავლებელი რომ გამოჩენილა, ადგილობრივი უეზდის უფროსი როგორ უწყობს ამისთანა უგუნურ საქმეს ხელსა?

* * ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ წელს იქაურს გიმნაზიაში ათ ყმაწვილს გაუთავებია კურსი და ათივეს მიუღია უნივერსიტეტისათვის საჭირო მოწმობა (**аттестатъ зрѣлости**). ერთს ამათგანს ოქროს მენდლით უპირებენ დაჯილდოებასო და მეორეს ვერცხლის მენდლითაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბასილეთი (ზურია), 2 ივნისს. ნათქვამია ანდაზა: „დარდს რო ვინმეს შესჩივლებო, ნახევარი შეგიმსუბუქდებაო.“ სწორედ ამ მიზნით გიგზავნით ამ კორრესპონდენციას და უმორჩილესად გთხოვ, უფ. რედაქტორო, თქვენის პატივცემულის გაზეთის „დ რ ო ე ბ ი ს“ რომელიმე ახლო ნომერთაგანში მცირეოდენი ადგილი დაუთმოთ. აი საქმე რაშია:

ეს რამდენიმე თვეა, ვიმყოფები სოფლად, ჩემს ოჯახში, სადაც ჩემს შინაურულს საქმეებს გარდა, რომელიმე დაბალ სასწავლებელში მისაღებად ვამზადებდი ერთს ჩემს **10** წლის ძმასა და მეორეს ჩემი ახლო ნათესავის აზნაურის 9 წლის ბავშვსა, რომლის მშობლებს არ მოეპოებათ იმდენი ღონის-ძიება, რომ თავის შვილი სხვაგან სადმე სასწავლებელში გაგზავნონ.

თურმე ეს ჩემი მცირე შრომა და შემწეობა ძმაზედ და ნათესავზედ კანონ-ს წინააღმდეგობა იყო! აი, ბატონო, თუ ასე არაა:

17 გასულ მაისს, დილით ადრე, მამასახლისის გამოგზავნილი კაცი სახლის კარებზედ მომვარდა და გამომიცხადა, რომ დაუყოვნებლივ პრისტავის უ. მ. ქუთათელაძის წინაშე გამოვცხადებულიყავ. ამ ფიცხელმა და უეცარმა ბრძანებამ ჩემს თავში ბევრი ფიქრები დაბადა, მაგრამ ვერაფერში ჩემი დანაშაულობა ვერ მოვიგონე. ბრძანების სისრულეში მოსაყვანად, ვიცოდი სოფელში გამბარებელის ძებნა დამოლალავდა, რადგან ამ გვარ სტუმრებს ჩვენში ხშირი მასპინძლები უჩნდებიან, მაგრამ, როგორც იყო, მივაკვლიე ერთი გლეხისას, სადაც ხალხიც ბლომად იყო შეკრებილი. მისვლისა-თანავე უ. ქუთათელაძემ მთელს ხალხში მიბძანა დაუყოვნებლივ შკოლის დახურვა.

ამ ბრძანების წარმოთქმაზედ ჩემი თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ რა დროს სიზმარია, ბძანებელს გარდა მომჩივანიც აღმოჩნდა. ბასილეთის სოფ. შკოლის მასწავლებელი უფ. კ. ერქომაიშვილი, რომელსაც, როგორც უ. ქუთათელაძისგან გავიგე, თხოვნა მიურთმევია ოზურგეთის უეზდის ნაჩალნიკისათვის მაზედ, რომ, რადგან აღნიშნულს საზოგადოებაში მასწავლებლად ის არის, სხვას ნურავის სწავლების ნება ნუ ექმნებაო!

პრისტავმაც, თავის რიგზედ, უეზდის უფროსის განკარგულებით, ორი ზემოხსენებული ბავშვის სწავლება ამიკრძალა!..

ამ ახირებული სცენის მაყურებელი ხალხი დიდს განცვიფრებაში შევიდა და სთქვა: „ნუ თუ ძმას ძმის ან ნათესავის სწავლების ნება არა აქვსო! მაშ მამამ რომ შვილს რამე ასწავლოს, ისიც კანონის წინააღმდეგობა იქნებაო!“. ხალხის მღელვარებამ ჩემი თავმოხრილი თხოვნის მიმატებით პრისტავი უ. ქუთათელაძე ცოტა არ იყოს თითქო ჭკუაზედ მოიყვანა და მომცა ნება (ისიც მომჩივნის უთანხმოებით) მარტო ერთის ძმისათვის მესწავლებინა; სხვას, თუნდ ძმა იყოს, ან და, ან ნათესავი, ჩემს სახლში თუ სხვაგან სადმე, პრისტავმა უ. ქუთათელაძემ ძალა-უნებურად პირობითი ხელწერილის ჩამორთმევით, არ უნდა ვასწავლო! წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ან ძმას, ან დას, ნათესავს, ან მეზობელს თუ რამე ვასწავლე და შემწეობა მივეცი, დასჯილი ვიქნები...

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენში ამის მსგავსი საქმეები ხშირი იყოს! ეხლა, ბატონო, უ. ერქომაიშვილს და მის გულითად თანამგრძნობს ჩვენი საზოგადოების მამასახლისს ზოგიბერიძეს, რომელიც ამ საქმის უხილავ წყაროდ იყო, თავს გაუვიდათ და რამდენიც ბავშვი ჩემკენ პირს დაიჭერს, იმდენს მოწმებს ნიშნავენ და უეზდის უფროსთან რაპორტს გზავნიან: „ბავშვებს ასწავლის, კანონს არღვევსო“.

ამ გარემოებამ ჩემზედ ისეთი გავლენა იქონია, რომ თავის საჭირო შინაურული საქმისათვის თითქმის მეზობელსაც ვეღარ გამოუგზავნია ჩემსას ბავშვი და ვერც მე ვერავისას მივსულვარ. ამაზედ მეტი კაცის დატუსაღება იქმნება?

თვითონ მასწავლებლის განათლებაზედ და სწავლებაზედ ჯერ-ჯერობით ვერას მოგახსენებთ ამ ერთი ანდაზის მეტს: „ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცეს“...

ამაზედ, უმორჩილესად გთხოვ, უ. რედაქტორო, რომ დაბეჭდვისა-თანავე ამ კორრესპონდენციისა ორიოდე სიტყვით მაცნობოთ: არსებობს, თუ არა, ზემოხსენებული ჩემგან ჩადენილი საქმის აღმკრძალველი კანონი?

სერგეი ჭალენდაძე.

ფიქრი ქურდობის გამო სამეგრელო-აფხაზეთში *)

(დასასრული)

დანიშნულება ხალხის მმართველებისა, სადაც უნდა იყოს, ჩემის აზრით, ამ ნაირია: იმათ უნდა ემსახურონ სამმართველო ხალხს და არა მარტო კანონებს. კანონები ხალხისთვის არიან დაწესებულნი და არა ხალხია გაჩენილი კანონებისთვის.

*) „დროება“, **№ 123.**

ამისთვის საჭიროა მმართველებმა იცოდნენ მათი სამმართველო ხალხის ინტერესები, მოთხოვნილება, გაჭირვება და დალხინება; მათ უნდა იცოდნენ ხალხის ენა, ჩვეულება, ზნე და სხვ. ყველა ამაებთან, რასაკვირველია, მათი ზნეობითი მხარე უნდა იყოს ნათელი ხალხის თვალში, მათ უნდა ქონდეთ სურვილი მუდამ ხალხისთვის სამსახურისა;—მხოლოდ მაშინ შეიძლება მმართველობამ ხალხს გასაჭირის შეიტყოს და საშველებელი წამალი მისცეს და ბედნიერების გზას დააყენოს; მხოლოდ მაშინ შეიძლება ხალხს ქონდეს თავისი მმართველების სიყვარული და პატივისცემა.

სამეგრელო-აფხაზეთში მმართველები ამგვარ მათ დანიშნულებას თითქმის არასოდეს არ ასრულებდნენ კარგად, ერთი მხრით მისთვის, რომ უმეტესობა ჩვენი მმართველებისა ცხრა-მთის გადაღმიდამ არიან გადმოსულნი ჩვენ ქვეყანაში; ამათ სრულიად არ იციან ჩვენი ხალხის ცხოვრება. ხალხი მაგათ ვერ იცნობს და ესენი ხალხს. რასაკვირველია, ამისთანა პირები ვერ განაგებენ რიგიანად ხალხს, ვერ შეიტყობენ ნამდვილ მის ტკივილს და ვერც უშველიან. ესენი ხელმძღვანელობენ მარტო კანონით, რომლის სიტყვა-სიტყვითი ასრულება ხან-და-ხან იქმნება უაზრო, უსარგებლო და თითქმის მავნებელი, თუ ხალხის ცხოვრებას ვერ ეწყობა. ამიტომაც ჩვენ მმართველებს ხშირათ მოუათ იმისთანა მაგალითები, როგორიც არის ქორზაიასი ისტორია, რომელიც ჩვენ ხალხში ყოველგან გავრცელებულია *).

ამისთანა მაგალითები ბევრია სამეგრელო-აფხაზეთში და ეს არამც თუ მოსპობს იმ ქურდობას, არამედ ავრცელებს და თითონ მიზეზს აძლევს იქურდეთო. ჩვენში ხშირად გამიგონია ერთი მეორეს ეუბნებოდა: „ბიჭო, სასამართლოში რომ მიგიყვანონ, იქ იმ მსაჯულს „რუსული ატკაზი“ უთხარი და თავისუფალი ხარო!“ ამისთანა მმართველების წყალობით იმერეთშიაც მიუყვეს ქურდობას ხელი.

მმართველებს რომ ხალხის ცხოვრება გაეგებოდესთ, დაახლოვებულნი იყვნენ ხალხთან, გაცნობილნი იყვნენ იმის ხასიათთან, მაშინ ამისთანა მოუ-

**) ქორზაიას ცხენი მოპარეს. იმან მსაჯულთან იჩივლა და უჩვენა ქურდზე, რომელსაც ნამდვილად იცნობდა ისიც და სხვებიც იმ ცხენის ქურდათ. მსაჯულმა ქორზაიას მოსთხოვა თორმეტი კაცი მოწმები, რომლებსაც უნდა ენახოსთ ცხენის წაყვანა. ქორზაიამ, ეს რასაკვირველია, ვერ შესძლო და ქურდი გაამართლეს.

ახლა ქორზაიამ იფიქრა: „თუ ზაკონი ამისთანაა, რომ სანამ თორმეტი კაცი ვერ დამინახავს ქურდობაში, ვერ გამამტყუვნებენ, მეც ვიქურდებო!“ და მეორე ღამესვე თითონ მსაჯულს მოპარა ცხენი და ზედ ქაღალდი მიუგდო სამეჯინიბოს კარებზე ამ სიტყვებით: „მიროვოი სუდია, მე ვარ შენი ცხენის ქურდი... თორმეტი მოწმები იშოვნე და მომძებნე ვინა ვარ.“

ხერხებელი კანონის ხმარება არ დასჭირდებოდათ.

მეორე მხრით, ვინც ჩვენები არიან ჩვენ მმართველებში, ისინიც ამ უცხო პირებში ერევიან. იმათაც არ იციან და არც უნდათ გაერიონ და ჩადგნენ ხალხის მდგომარეობაში. ვინც ძლიერია, იმას უთმობენ, უძლურს ჩაგრავენ; მაღალს საზოგადოებაში პირმოთნეობას იჩენენ, თვითონ ხალხში კი სულაც არ გამოჩნდებიან; წერილობით ბრძანებებს სცემენ.

მე მგონია მმართველნი მდაბალ საზოგადოებას ისე უნდა ემსახურონ, როგორც მაღალს; მათი საქმეა, თავისი ერთნაირი მიმხრობით ეს ორი, საუბედუროდ, გაცალკევებული წოდება დაუახლოვოს ერთმანეთს, ერთის გასაჭირი მეორეს აგრძნობინოს და ერთის ლხინი მეორესთვის სასიხარულო გახადოს. არსად გამიგონია და მინახავს, რომ ჩვენ მმართველებს სახალხო შკოლები გაემართოთ სადმე და ან შემწეობა მიეცესთ სიტყვით ან საქმით. ის კი ბევრჯერ გამიგონია, სოფლის მასწავლებლებს ყურადღებას არ აქცევენო, ხშირად ლანძღავენო და ხალხში ღირსებას უკარგავენო; ისიც ბევრჯელ გამიგონია, სოფლებში პრისტავები ცუდათ იქცევიანო, ქურდს ფარვენო, თუ ხელში რამე მოიგდესო!..

როდესაც ესენი, ხალხის ზნეობით ცხოვრებისა და მშვიდობიანობა-წესიერების დამცველნი, თითონ მაგისთანა საქმეებს ჩაიდენენ, მერე რა გავლენა უნდა ქონდეს ან მათ სიტყვას, ან მათ მოქმედებას ხალხზე!

მეგრელი.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! გამიგონია შენი გაზეთი მალამო არისო ჭირშიო, და მეც მინდა შემოგჩივლო ჩვენი მწუხარება, იქნება რამე მალამო დაგვადო, თორემ შენი მტერი ჩვენ ბარეჯელები ვილუპებით; ამ თაგვმა გაგვანადგურა, ერთი მუჭა პური აღარც ერთს აღარ მიგვილია; ჩვენი ხალხი ახლავე გაემგზავრა ჭარისაკენ პურის სასყიდლათ.

და უარესად გვანადგურებს ტყუილია თუ მართალი ბეგარა. აი, შენი ჭირიმე, ამ ერთს თვეში ექვსჯერ გაურეკივართ ბეგარაზე:—აპრილის 24 დღესა 13 ურემი, მაისის 14 ქუდზედ კაცი კალიების სახოცლათ, მაისის 15 დღესა 13 ურემი, 19 მაისს 22 ურემი, 10 მაისს 12 ურემი, 2 ივნისს 48 უღელი ხარი. ვეღარც სიმინდები დავხანით, ვეღარც ანეულები სამემრისოთ. მემრისთვის მოხნული და დათესილი რო არა გვექნება-რა, რაღას მოვმკით!

გუთნები გვება წამ-და-უწამ ჩამოგვირბენდა გზირი: ბეგრები, გამოუშვით გუთნები ჩქარაო! მა-რა მეტი ღონე გვქონდა!

მაგრამ მე ის მაკვირვებს, შენი ჭირიმე, რო ამდენი ბეგრები თავის დღეში არ ყოფილა საგარეჯოში. უფრო ის მაკვირვებს, რომ ჩვენ მეზობელ სოფლებში, პატარძეულიდგან, გიორგი-წმინდიდგან, ნინო-წმინდიდგან, თოხლიაურიდგან და მანავიდგან არა თხოულობენ; სულ საგარეჯო და საგარეჯო! მე უწინ ისე მახსოვს, როგორც წისქვილის ჯერი რიგ-რიგით იციან, ისე ჯერით ყველა სოფლებს გვინაწილებდნენ ბეგრებს. ახლა კი ეს ჯერი შეუშლიათ, არ ვიცით რა არის მიზეზი.

ამბობენ, ვითომ უეზდის უპრავლენიაში ერთი ვილაც ჩინოვნიკია, იმის ხელშია ამეების რიგზე განაწილებაო, რომელი მამასახლისებიც იმას ძღვენებს ან ფულებს მიუტანენ, იმას აცდენს ჯერსა და ვისაც არ მიუტანია, იმათ შეახვედრებსო. სწორეთ ეს ასე უნდა იყოს, თორემ რო არ გაგონილა ეს ამბავი. ყველა ბეგარა ჩვენი ვალია, თავს როგორ გავიხრით! ხელმწიფის სამსახურში, ვენაცვალე მის კანონებსა, ყველა რიგით უნდა იყოს,—ასე წერია, მაგრამ ჩინოვნიკები გვლუპამენ.

მოხარულნი ვიქნებით რომ შევიტყოთ: ჯერებით გვერგებოდა ამდენი ბეგრები, თუ უჯეროთ გვახვედრებდნენ? მეც თითონ გავიგებდი, მაგრამ იმ ჩინოვნიკთან რო მივა ვინმე საქმის საკითხავათ, სულ დედ-მამის გინებით აგვიკლებს და გულ-ხელ დაკრეფილები გამოვბრუნდებით.

საგარეჯოელი.

სოფ. საგარეჯო, ივნისის 3 დღესა.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ტელეგრამმამ გვაცნობა ამ დღეებში, რომ საფრანგეთის კონგრესსმა გარდაწყვიტა ვერსალიდამ პარიჟში გარდატანა ნაციონალურ კრებისა და სენატისა. ამასთანავე იუსტიციის მინისტრს შეუდგენია ახალი კანონის პროექტი იმის თაობაზე-თუ როგორ უნდა იქმნეს პალატები პარიჟში დაცული; ეს პროექტი სამს მუხლს შეიცავს:

1). ჩვეულებრივი სხდომები ნაც. კრებისა და სენატისა უნდა იქმნეს პარიჟში; კონგრესსი კი მუდამ ისევ ვერსალში შეიკრიბება;

2). თითოეულ პალატის დასაცველად წესდება ცალკე ლეგიონები (ჯარი), რომელნიც ნაც. კრებისა და სენატის თავმჯდომარეებს და კვესტორებს (პრისტავებს) ემორჩილება. ოთხი ბათალიონი სენატისათვის იქნება და ოთხიც ნაც. კრებისათვის. ამ ლეგიონების უფროსები დაინიშნება სამხედრო მინისტრისაგან პრეზიდენტების თანხმობით.

3). პალატების გარშემო იქნება დანიშნული ხაზი, რომლის შიგნითაც აღკრძალული იქნება ყოველგვარი კრება ხალხისა; თავ-მოყრა რომელიმე თხოვნის მისაცემად პალატაში და სხვ.

— ნაციონალურ კრებაში შეუტანიათ წინადადება, რომლის ძალითაც ამ კრებას უფლება მიენიჭება, რომ თუ რომელიმე დეპუტატი უკადრისად მოიქცა სხდომის დროს და რამდენჯერმე შენიშვნის შემდეგ არ დაემორჩილა კრების თავმჯდომარეს, ამ შემთხვევაში ის მთელი წლით განდევნილი იქნება ნაციონალურის კრებიდამ.

ოსმალეთი

საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებს გამოუცხადებიათ ეგვიპტის ქედივისათვის, ჩვენი მმართებლობისაგან მონდობილი გვაქვს გამოგიცხადოთო, რომ თქვენი გადაყენება ეგვიპტის ტახტიდამ აუცილებლად საჭირო არისო.

— „ჰავასის სააგენტოში" იწერებიან რომ რუსეთს, გერმანიასა და ინგლისს წინადადება მიუციათ ხონთქრისათვის, რომ იანინი და ერთი ნაწილი თესსალიისა დაუთმოს საბერძნეთს და ამ ნაირად მოურიგდეს იმას. ამბობენ, რომ მხოლოთ იტალია არ მიემხრო ამ შემთხვევაში ზემოხსენებულ სახელმწიფოებსაო, იმის აზრით იანინი ალბანიას ეკუთვნისო. იტალია წინააღმდეგია აგრეთვე იმისაც, რომ ნოვო-ბაზარის სანჯაყი სრულებით დაისაკუთროს ავსტრიამ.

გერმანია

ბერლინიდამ მიღებული ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ავათ გამხდარა.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ჩიკიშლიარი, 8 ივნისს. („თფილისის მოამბის" ტელეგრამმა). ის მოწინავე ატრიადი, რომელიც გუშინწინ, 6 ივნისს, გავიდა აქედამ დუზ-ოლუმისაკენ, შესდგება სამი ბათალიონის ქვევითა ჯარისაგან, 500 ცხენოსნისაგან და ერთი როტა საპიორებისაგან; ოთხი ზარბაზანი მიაქვთ თან. ამ ატრიადის უფროსად დანიშნულია ყაბარდოს პოლკის კამანდირი თ. დოლგორუკოვი. 5 ივნისს ექვსასი ცხენოსანი კაცი გაგზავნეს სოფ. ბოენ-დამში მდ. ატრეკის ნაპირას წყაროების მოსათხარად.

გუშინ აქ დიდი ქარიშხალი იყო; ზღვიდამ კაცი ვერ გამოდიოდა. დღეს ისევ კარგი ტაროსი დადგა. ამ დღეებში ორი კაცი მოკვდა ფილტვების ანთებისაგან. ძალიან არ ცხელა.

ალექსანდრაპოლი, 11 ივნისს. („კავკაზის" დეპეშა). დღეს იდღესასწაულეს აქ ალექსანდრაპოლიდამ ჭიბურუქ-დარამდინ სამხედრო შოსსეს გზის გათავება. ინჟინერებმა კეთილ-სინიდისიანად შეასრულეს თავის საქმე.

პეტერბურღის ბირჟა, 11 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	95—25
მეორე— — — — —	95— „
მესამესი — — — —	95— „
მეოთხესი — — — —	95 — „
აღმოსავლეთის პირ. —	92—75
აღმოსავლეთის მეორე—	92—50
აღმოსავლეთის, მესამე—	„— „
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	8—40
ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	94—93

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	241—25
მეორე სესხის — — —	235—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—72	პენსი
ამსტერდამი— —	119—37	ცენტი
ბერლინი— — —	201—75	პფენიგი
პარიჟი — — —	249—50	სანტიმი
კავკასიის კერასინი	„ — „ —	

განცხადებანი

პატივი გვაქვს, გამოუცხადოთ უფ. ხონისა და ეგრეთვე ოზურგეთის მოვაჭრეებს: ივნისიდან ტფილისში ჩაბარებული ქარვასლებიდან ყოველივე ხორაგი საქონელი გაიგზავნება თავიანთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კაპეიკი და ოზურგეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალდებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვძლოთ თანახმად მოვაჭრეებისა

კანტორა იმყოფება: პირველი—ტფილისში (ყორყმაზის ქარვასლა, № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე გილდი.

ბარსეგაან ივ. რატიანი.

(4—2)

გამგებელი კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა შესაწევნელად შეუძლებელთა მოსწავლეთათვის ამით აცხადებს, რომ არძების შემოტანა ბავშვების მიღებაზედ შკოლაში ამ წლის სეკდემბრიდგან შეიძლება ივნისის ათიდგან აგვისტოს ოც-და-ხუთამდე. არძასთან საჭიროა იყოს წარმოდგენილი ნათლობის მოწმობა ან კანტორის, ან ადგილობრივი მღვდლისა. არძებს მიიღებს ვიცე-პრედსედატელი გამგებელი კომიტეტისა თავ. დავით ივანეს ძე ავალიშვილი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ბანკში და შკოლის მასწავლებელი უ. ყიფიანი თვით შკოლის სადგომში, რომელიც იმყოფება პუკიაში, აგურის ქუჩაზე, თაქთაქიშვილის სახლებში.

(6—3)

ტფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღაზიაში **ისყიდება**

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფრემ ზადეიჩი **კობიევი** აუწყებს საყოველთაოდ საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, მივიღე ტფილისის ოკრუჟნის სუდიდან მ ო წ მ ო ბ ა პ ო ვ ე რ ნ ი ო ბ ი ს ა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოებისა სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა და სხვა საქმეები სუდში საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდენ გამიჯვნის დროს.

ამასთანვე ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტრის თანამდებობაში მექვეის ნაწილისა ტფილისის ოკრუჟნის სუდში ვიდრე რვა წლამდე.

ბინა მექნება ყაფლანიანთ ქუჩაში, იაგორ დემუროვის სახლში, და ხშირად ვიმყოფები შემდეგ ამისა ქ. დუშეთში.

ეფრემ კობიევი

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა ტფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	0
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) ტფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
ტფილისი, 12 ივნისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	20
ფქვილი წითელი . . .	1	70
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
— ამერიკისა, ფუთი . .	9	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
— თარაქამისა ფუთი . .	4	30
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	6	30
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	50
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	15
—ფხვნილი ფუთი . . .	5	75
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშული ფთ.	6	30

ტფილისის სამკურნალო:

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 юня 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.